



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 2

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
31.01.2024

2-06-4-202401311759



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 22 იანვრის №18-182402212 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1**

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის №1 განკარგულება.

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ.  
რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო  
კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.  
მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

